სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 129

2016 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

„სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2016 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 07 ივნისის N116 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N748205, 21/06/2016) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2016 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 07 ივნისის N116 ბრძანებაში, დანართ 4-ში, თანდართული დანართის შესაბამისად
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გიორგი ჟღენტი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი 4
დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2016 წ. 22 ივნისის N129 ბრძანებით

განმცხადებლის/ჯილდოს კანდიდატის მიერ დარგში გაწეული სამეცნიერო კარიერის აღწერილობა

(არაუმეტეს 400 სიტყვისა)

(სამეცნიერო კვლევით ჯგუფის კატეგორიაში წარმოდგენის შემთხვევაში, მიუთითეთ სამი წლის განმავლობაში: მინიმუმ ერთი ერთობლივი სტატია; მინიმუმ ერთი საერთო სახელმძღვანელო; ერთად პატენტი (არსებობის შემთხვევაში); როგორც სამეცნიერო ჯგუფს მინიმუმ ორ ერთობლივ კვლევით პროექტში მონაწილეობა).

Annex 4

Applicant / award candidate's career description in Scientific Field

(No more than 400 words)

(In the case of presenting in the category of scientific research group, name/specify in the last 3 years: at least one article; at least one joint guideline; joint Patent (If applicable); As a research group, participating at least in two joint scientific research projects).